


საპარტფალოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების პაპშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური სახოს ორგანო  
ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского Совета профсоюзов

№ 68  
(3552)

1968 წ.  
აპრილი,  
30-იანი,  
ფასი 3 ააა.

გამოცემის  
24-ე წელი.


სსრ კავშირის პირველობა ფეხბურთში



სურათზე: კ. ასათიანი უგებს ბრძოლას მეტოქეებს და იწყებს მოტივით მ. ზარგარიანისა.

კვლევა...

- „ნახტი“ — „ჩარნომორაძი“ 4:0
- „ზახტიორი“ — „ზანიტი“ 0:3
- „არარატი“ — „ლოკომოტივი“ 2:0
- ახა (როსტოვი) — „პრილი სპორტივი“ 1:1
- „ბირატი“ — „დინამო“ (მოსკოვი) 0:1
- „პასტაპორი“ — ცხაბა 1:1
- „ზარატი“ — „დინამო“ (მინსკი) 1:0
- „დინამო“ (პირეკაბადი) — „დინამო“ (პიბვი) 0:0.



ქუთაისის მე-9 საშუალო სკოლის მრსწავლებლებს ძალიან უყვართ მხატვრული ტანვარჯიში. სექციის ხელმძღვანელობს სპორტის ოსტატი ლ. შაველია, რომელმაც ბევრი კარგი ტანვარჯიში ალზარდა. ქუთაისის ნაკრებში შემეტყველეს სწორედ მისი აღზრდილი სპორტსმენები შედიან. ამ სკოლის ნიჭიერ გოგონებს, პირველთაირიგოსებს თ. გვანცელაძეს, ნ. ქათამაძეს, ვ. ბრიკს, სპორტის ოსტატობის კანდიდატს ს. ბარიშნიკოვს არა ერთი წარმატება მოუპოვეთიათ სხვადასხვა შეჯიბრებაში.

„ქ“ კვლევა სპორტული „კავშირები“

თბილისი. „დინამო“ სტადიონი. 6 აპრილი.  
„დინამო“ (თბილისი) — „სპორტივი“ (მოსკოვი) 0:0.  
„დინამო“: ურუშაძე, ცხოვრებოვი, რეზიაშვილი, ხუციშვილი, ძოძუაშვილი (ქიქავა), ჰელიძე, კუტივაძე (პეტრიაშვილი), ასათიანი, მეტრეველი, გ. ნოღია, გავაშელი.  
„სპორტივი“: მასლაჩენკო, ლოგოვტი, გრებნევი (მიხაილინი), კრუტიკოვი, ამბარცუშვიანი, როსოვი, იანკინი, მუსაინოვი, ოსიანინი, პაპევი (კისელიაძე), სილაგაძე.  
მსაჯი ვ. ხოლინი (მინსკი).

წინასასწავლო საკონტროლო შედეგები (კერძოდ, „ენქელას“ ტურნირი) მიზნად ისახავენ გუნდების ადრე შეყვანას საბრძოლო ფორმაში, მოთამაშეთა ფორმირების უწყობაში, მათგან, მაგრამ რაც უნდა. რაციონალური და სასარგებლო იყო ეს ღონისძიებანი, აპრილი მაინც აპრილია. ფეხბურთელი ჯერ შორსაა სამატჩო განწყობილებიდან, არც ტექნიკურად, არც ფიზიკურად არც ფიქსირად არაა მზად გადართანის და დიდი დატვირთვები და ითამაშოს თავისი უნარის შესაბამისად.  
გუნდული მატჩი ამის ნათელი დასტურებია. ორივე გუნდი — დინამოელები და სპორტკლუბი მსოლოდ უპირობოდ, შემთხვევად შემთხვევად იძლეოდნენ ნამდვილი კლასის „პროფესიონალს“, უმეტესად კი ეს იყო ტიპური საგანგებო მატჩი უამრავი შეცდომით და მოთამაშეთა შეუთანხმებლობით. ის სასიფათო მომენტებიც კი, რომლებიც საკმაოდ შეიქმნა ორივე კართან, მცველთა უბეში შეცდომების შედეგი იყო, ხოლო მათი გამოუყენებლობა — თავდასხმელთა გაუბედაობა და უუსუსტობა.  
საერთო უპირატესობა თბილისელთა მხარეს იყო, სადაც ყველაზე კარგი

**კლასიკური**  
**კლასიკური**  
**კლასიკური**

ცხაბა კვლავ დამარცხდა

10:30, 6 აპრილი. ადგილობრივმა არმიულმა დამატებით დროში დღეს მორე მატჩიც მოუგეს ცხაბას კალთბურთელებს — 7:3 (6:5, 35:35). ახლა საკავშირო

ჩემპიონატის ლიდერთა სამეული ასე გამოიყურება: თბილისის „დინამო“ — 26 ქულა 36 მატჩიდან, კიევის ასე — 25 39-დან, ცხაბა — 24 38-დან.

ფრე მარსალში

მარსალში, 6 აპრილი. ევროპის საფეხბურთო ჩემპიონატის პირველ მეოთხედფინალურ მატჩში დღეს აქ ერთმანეთს შეხვდნენ საფრანგეთისა და იუგოსლავიის ნაკრები გუნდები. თამაში, რომელსაც ესწრებოდა ა. რაშსტი, დაშთავრდა ფრედ — 1:1.

კანი, მკვლელი მანქანა, ნიხა...

ჩვენი კონტინენტის ჩოგბურთელებმა დაიწყეს საფრანგეთის რივითა: ჯერ კანში იასპარეზეს, შემდეგ მენტონში, ახლა კი ნიცაში გამართეს შეჯიბრება. ნიცის საერთაშორისო ტურნირი შემადგენლობით უფრო ძლიერია, ვიდრე კანისა და მენტონისა. ნიცაში ჩავედნენ ისეთი ძლიერი ჩოგბურთელები, როგორც არიან მალიგანი (იტალია), დარმონი, ბარკლაი, კონტე, ბიოსტი (ყველა — საფრანგეთი) და სხვ. სულ გაეთა ერთეულების შეჯიბრებაში 78 სპორტსმენი ჩაება.

მეტრეველმა პირველ დღეს მოუგო ამერიკელ პერის — 6:3, 6:1. მეორე დღეს იგი უნგრელ კომარომის შეხვდა. პირველ პარტიაში უნგრელი დაწინაურდა (3:0), მაგრამ მეტრეველმა შეძლო თამაში გადართვის შეტანა და ხელი მოიგო — 6:3. მეორე პარტიას კართველი ჩოგბურთელი დიდი ანგარიშით აგებდა (1:5), მაგრამ მაინც იმარჯვა, ჯერ გაათამაშა ანგარიში, ხოლო შემდეგ პარტიაც მოიგო და შეხვედრაც — 8:6. ეგოროვმა მერვედფინალში გასულამდე მოუგო ბიოსტს — 6:1, 6:1, ლიხაროვმა დაამარცხა ფრანგი მონტრენო — 6:4, 6:2 და უნგრელი სიოქე — 6:3, 7:5.

საბჭოთა ჩოგბურთელთაგან ყველაზე ახალგაზრდა — თ. კაკულიამ ძირითად ტურნირში წააგო პოლონელ გონშორეკთან — 2:6, 0:6. კაკულია მონაწილეობს მეორე ტურნირშიც, რომელიც ცალკე ტარდება 21 წლამდე ასაკის სპორტსმენებისთვის. აქ მან შეხვედრა მოუკო ფრანგ სიტონს — 6:3, 6:4.

შემდეგ გაიმართა რამდენიმე მერვედფინალური შეხვედრა. ჩვენი სპორტსმენებიდან მეოთხედფინალში პირველი მეტრეველი გავიდა. მან დაამარცხა ინგლისელი პატჩინისი — 6:3, 7:5. მეოთხედფინალში გავიდნენ, აგრეთვე, ფრანგი გოგენი და ავსტრალიელი ფილსმური.

ახალგაზრდა ჩოგბურთელთა ტურნირში მორიგი გამარჯვება მოიპოვა კაკულიამ, რომელმაც დაამარცხა ფრანგი ბადუევი — 6:1, 3:6, 6:1.

წყვილთა შეჯიბრებაში მეტრეველმა და ლიხაროვმა „უბიფაოდ განვლეს“ ორი წრე. თბილისელმა კაკულიამ და შედგმა ნერვულა შექმნეს ინტერნაციონალური წყვილი. მათაც უკვე ორი შეხვედრა მოიგეს. ლიუენსა და ეგოროვმა დაამარცხეს ამერიკელი ტიმი და კანადელი ტუტინი — 6:4, 9:7.

სსრ კავშირის პირველობა

სსრ კავშირის პირველობის პრეტენდენტთა პირველი მეოთხედფინალური მატჩის III პარტია საბჭოთა დიდოსტატებს გელურსა და სპასკის შორის მე-19 სვლაზე ყაბით დამთავრდა. ანგარიში გახდა 2:1 სპასკის სასარგებლოდ. IV პარტია გაიმართება 8 აპრილს. თერთობა თამაშებს სპასკი.

დამასკო, 6 აპრილი. მოსკოვის „დინამოს“ კალათბურთელ ვუთა გუნდმა თავისი პირველი მატჩი სირიაში ამ ქვეყნის ერთ-ერთ უძლიერეს საკლუბო გუნდთან „გულტთან“ გამართა. გაიმარჯვეს სტუმრებმა — 78:44.

კამბაშვი, 6 აპრილი. ყაზახეთის ფრენბურთელ ვუთა გუნდმა აქ დაამარცხა კუბის ნაკრები — 3:2 (6:15, 15:11, 12:15, 15:8, 15:3). ეს მატჩი, რომელმაც ბევრი მღელვარე წუთი განაცდევინა მრავალრიცხოვან მაყურებელს, კუბის ამ პროვინციის დიდი სპორტული დღესასწაულის პროგრამაში შედიოდა.

ტანსი (კალიფორნია), 6 აპრილი. წლევანდელ სეზონში სამთომთობილოპურთა ბოლო დიდი საერთაშორისო შეჯიბრება აქ გრენობლის ოლიმპიადისა და მსოფლიო ჩემპიონის ჟან-კლოდ კილის გარეშე ჩატარდა. სახელთანი ფრანგი სპორტსმენი ამ საინტერესო ასპარეზობის მსაჯურებელი გახლდათ. კილიმ განაცხადა, რომ სახელმწიფო დაემშვიდობა თბილისურებს და სულ მალე პროფესიონალი ავტომობილის კარიერას დაიწყებს — ლემანში (საფრანგეთი) იასპარეზებს. სლოვაკი კი მოიგო „კილის ორულმა“. ჟურნალისტები ასე უწოდებენ ჩემპიონის 19 წლის თანამემამულეს ჟან-პიერ ოფერს, რომელიც მართლაც საოცრად ძვეს კილის.

სენსორალური საბჭოს პრეზიდიუმი დღის წესრიგშია ოლიმპიური თამაშების შედეგები

ამ დღეებში მოსკოვში შედგა სსრ კავშირის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმის სხდომა, რომელშიც განიხილა ზამთრის X ოლიმპიური თამაშებში საბჭოთა სპორტსმენების მონაწილეობის შედეგები. პრეზიდიუმის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო ქვეყნის სპორტული ორგანიზაციების ხელმძღვანელებმა, სპორტსმენებმა, მწვრთნელებმა, მეცნიერ-მუშაკებმა. ზამთრის ოლიმპიური თამაშების შედეგებზე მოხსენებით გამოვიდა ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე კ. ჟაროვი. გრენობლში ჩვენი სპორტსმენების შედეგების ანალიზს და ჩვენს ქვეყანაში ზამთრის სახეობათა, განსაკუთრებით, სათხილამურო და საციგურაო სპორტის მდგომარეობას შეეძვნა პროფკავშირების ნებაყოფლობით სპორტულ საზოგადოებათა საკავშირო საბჭოს თავმჯდომარე გ. ელისიევი, სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს სპორტული კომიტეტის თავმჯდომარის, გენერალ-ლეიტენანტ ვ. ფილიპოვის, სპორტკავშირის რუსეთის საბჭოს თავმჯდომარე ვ. ალიოხინის, სპორტკავშირის უზსახეთის საბჭოს თავმჯდომარე კ. ახმეტოვის, საკავშირო ალკ ცენტრალური კომიტეტის თავდაცვით-მასობრივი და სპორტული მუშაობის განყოფილების გამგის მოადგილის ვ. სიჩის გამოხსენება. სხდომის მონაწილეებმა მოინახინეს, აგრეთვე, სსრ კავშირის მოციგურავეთა ნაკრები გუნდის მთავარი მწვრთნელის ბ. სტენინის, ქვეყნის ნაკრები გუნდის მთავარი მწვრთნელის ვ. კამენსკისა და სსრ კავშირის სათხილამურო სპორტის ფედერაციის თავმჯდომარის ვ. ზახანინის გამოხსენებები. საბოლოო სიტყვით გამოვიდა ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარე ი. მაშინი. გაანალიზეს რა ზამთრის ოლიმპიური თამაშების შედეგები, განხილვის მონაწილეებმა აღნიშნეს მთელი რიგი ორგანიზაციული და მეთოდური ნაკლოვანებანი ოლიმპიური სტარტებისთვის მოციგურავეთა და მოთხილამურეთა მომზადებაში, რამაც საფრანგეთში რიგი სპორტსმენების სუსტი გამოსვლა გამოიწვია. სხდომაზე სერიოზულად გააკრიტიკა მწვრთნელების ზ. ბოლოტოვის, ბ. შილკოვის, ბ. სტენინის, ვ. ირლოვის, ე. სტეპანენკოს, ვ. კამენსკის, საციგურაო და სათხილამურო სპორტის ფედერაციების პასუხისმგებელი მდივნების ო. გონჩარენკოსა და ი. კურსოვის მუშაობა. სხდომაზე აღინიშნა, რომ კავშირის ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე კ. ჟაროვი და ცენტრალური საბჭოს სპორტის ზამთრის

სახეობათა ფედერაციის ბიუროს თავმჯდომარე ლ. სტარცოვი და სპორტული კონტროლის არ უწევდნენ ოლიმპიური თამაშებისთვის ქვეყნის ნაკრები გუნდების მზადების მსვლელობას. პრეზიდიუმმა მიიღო მთელი რიგი საორგანიზაციო ღონისძიებანი მოციგურავეთა და მოთხილამურეთა ნაკრები გუნდების ხელმძღვანელობის განმტკიცების მიზნით. სხდომაზე აუცილებლად მიიჩნია ამ ფედერაციების ხელმძღვანელობის განმტკიცება. პრეზიდიუმმა აღნიშნა ზამთრის სახეობათა წარმომადგენლების უმაღლესი სპორტული ოსტატობის ზრდის უკმარი ტემპი მთელ რიგ რენ-პუბლიკებში, კერძოდ, რსფსრ-ში (სპორტკავშირის საბჭოს თავმჯდომარე ვ. ალიოხინი), უზსახეთში (სპორტკავშირის საბჭოს თავმჯდომარე კ. ახმეტოვი), ბელორუსიაში (სპორტკავშირის საბჭოს თავმჯდომარე ვ. დივენიცი), უკრაინაში (სპორტკავშირის საბჭოს თავმჯდომარე კ. კულივი), საქართველოში (სპორტკავშირის საბჭოს თავმჯდომარე ვ. სხარუაძე). პრეზიდიუმმა აღნიშნა, რომ პროფკავშირების ნებაყოფლობით სპორტულ საზოგადოებებმა და პროფკავშირების ნებაყოფლობით სპორტულ საზოგადოებათა საკავშირო საბჭომ (თავმჯდომარე გ. ელისიევი) ვერ გამოიყენეს ყველა შესაძლებლობა ზამთრის ოლიმპიური თამაშებისთვის პროფკავშირების სპორტსმენთა მომზადებისა და ამ თამაშებში წარმატების მოპოვებისთვის. ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმმა დასახა რიგი ღონისძიებანი სპორტის ზამთრის სახეობათა განვითარებაში ჩამორჩენის აღმოფხვრისთვის, კერძოდ, ნიჟიური ახალგაზრდობის გულმოდგინედ შეჩვენების მიზნით სპორტულ ორგანიზაციებში მუშაობის გაუმჯობესებისთვის. იგეგმება არსებულ სპორტულ ნაგებობათა რეკონსტრუქცია და ახალი, თანამედროვე, სპეციალიზებული სპორტული ბაზების მშენებლობა სპორტული წვრთნის საქმეში ჩვენს ქვეყანაში და უცხოეთში შექმნილი გამოცდილების ღრმა შესწავლა; მწვრთნელთა კადრების მეთოდური და მეცნიერული ცოდნის ღონის ამაღლება; შეჯიბრებთა კალენდრის შემდგომი სრულყოფა უმაღლესი კლასის სპორტსმენთა მომზადების მიზნით. პრეზიდიუმმა მიიღო დადგენილება ცენტრალური საბჭოს პლენუმის ჩატარების თაობაზე, რომელიც ჩვენს ქვეყანაში მასობრივი და უმაღლესი სპორტული ოსტატობის განვითარებას მიეძღვნება. პლენუმის მომზადებისთვის შეიქმნა ცენტრალური საბჭოს სპეციალური კომისია.



მასწავლებელს რეგულარულად მეცადინეობს მძიმე მეტი მოსწავლე. ამ სკოლის კედლებიდან გამოვიდნენ: 1967 წლის მსოფლიო ჩემპიონი ფარიაბაში ვ. ნაზიმოვი, სსრ კავშირის ექს-ჩემპიონი სიმბაღეზე ხტობაში ვ. ბოლოტოვი, ევროპის ორგზის ჩემპიონი ხუთბრუნში ვ. ტიხომიროვა და ბევრი სხვა გამორჩენილი სპორტსმენი. სკოლაში პოპულარულია მხატვრული ტანვარჯიშის სექცია. სურათზე: მხატვრული ტანვარჯიშის სექციის მეცადინეობის ატარება მწვრთნელი-პედაგოგი, სპორტის ოსტატი გ. კაროვა. ფოტო რ. დიკისა (საქელსი).

ჩვენს მძიმე მოსწავლეებში

საპუტარო ბაზაში. ღონისძიება. ყოველ საწარმოს, ყოველ სასწავლებელს, კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობას — საკუთარი სპორტული ბაზა! — ვლადიმერ ილიას ძე ლენინის დაბადების 100 წლისთავისთვის ასეთი ვალდებულება აიღო ოლქის ფიზკულტურული აქტივის კრებამ. მთელი ღონისძიების მთავარი იქნა ქალაქ შენაოვის სპორტული სამწვრთნელი, რომლის მთავარი მიზანი ფიზკულტურასა და სპორტში ქალაქის მოსახლეობის ფართოდ ჩაბმვა. მას შემდეგ მხოლოდ წელიწადი გავიდა, ვდროში კი უკვე აიგო 6 სპორტული დარბაზი, 3 ტირი, კალათბურთისა და ფრენბურთის 46 მოედანი, 2 საწყლოსნო სადგური ზღვის პირზე. ყველა სპორტული ბაზა სახალხო მშენებლობის მეთოდით და სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა საქარესი ფონდების ანგარიშზე შენდება. სამწვრთნელის ინიციატორის — ქარხანა „ტაგანაში“ ყოველი მანქანათმშენებელი თვეში ორ-სამ საათს ახმარს სპორტული კომპლექსების მშენებლობას, რომლებსაც საწარმოს ინჟინრები აპროექტებენ აგრეთვე საზოგადოებრივ საწყისებზე. ვლანოვის ყოველი მეოთხე მცხოვრები ფიზკულტურული კოლექტივის წევრია. სამწვრთნელის პირველ წელიწადს აქ მომზადდა 31 სპორტის ოსტატი, 217 ოსტატობის კანდიდატი და პირველთანაოვის სანი. შენაშია ქალაქის გამომცემლობამ ფართო გავრცელება პოვა დონეცკში, დობროპოლიეში, შანტიორსკში და სხვა ინდუსტრიულ ცენტრებში. ხუთწვრდის ბოლოსთვის ოლქში მწვრთნელთა ჩადგება 300 დარბაზში, 15 დახურული საცურაო აუზში, 30 სტადიონი და ბევრი სხვა ნაგებობა.

ზაფხული და ზამთარი

პრასნოვარალსკი. სპორტის მდინარეებში ამ ქალაქში ახალი სპორტის სასახლე გაიხსნა. მის ვრცელ დარბაზებში უკვე ტარდება შეჯიბრებები სპორტულ თამაშებში, ტანვარჯიშში, აკრობატულაში, საცურაო აუზის ცისფერ ბილიკებზე. სასახლის კედლებში უკვე სპორტული ზაფხული დგას. ვაზაფხულზე კი ახალი დარბაზებში ზამთარი შედგაზ ფეხს — მწყობრში ჩადგება ხელგონური ყინულის მოედანი.

პლასტიკური მინის მშვილდი

პიპრე. სატყეო კომბინატმა ათვისა ახალი პროდუქცია: პლასტიკური მინის მშვილდი და ელასტიკური მშვილდები. რ. ორგმა და კ. რონიმ ახალი მშვილდით უკვე მფარულეს სპორტის ოსტატის ნორმა, ი. ხაიდაკმა და ვ. პიკსინმა კი დაამყარეს ტანთხეთის ახალი რეკორდები საერთაშორისო კლასის დონეზე.

„გაზრდილი ამბროზის“ მოტოსიკლი

მინსკი. „მ-29“ — ასე ჰქვია ახალ მოტოსიკლს, რომელიც მინსკის მოტოველიქარხანაში დაამუშავებენ. მანქანას, რომლის ცილინდრი 125 კმ მმ მოცულობისაა, 16-ძალიანი ძრავა და გადაცემათა ექვსსაფეხურიანი კოლოფი ექნება. ეს პირველია ამ კლასის მანქანებისთვის. „გაზრდილი ამბროზის“ ახალი მოტოსიკლი მრავალდანიანი პილინისა და კროსებისთვისაა გათვალისწინებული.

ამჯერად — ტანმომარჯვრითა ახალსახლოება

ქსმ-სსს. დღითი-დღე იზრდება ალმა-ათის ბინათმშენებელი კომბინატის სპორტულ ნაგებობათა კომპლექსი. თავდაპირველად მწყობრში ჩადგა დასურული საცურაო აუზი, თამაშობათა დარბაზი და სიასადელიანი სტადიონი, რომელსაც მძლეობის სარბენი ბილიკი და კარგი ფეხბურთის მიწიერი აქვს. მაღალსტადიონის მთავარი შესასვლელის წინ ფრენბურთის მოედნებიც გამოიკვთა. ამჯერად ახალსახლობას ზეიმოვნ ტანმომარჯვრებები, რომელთაც მშენებელი სპეციალიზებული დარბაზი მიიღეს.

წულულს განზრახული აქვთ ელექტროგანათობა მოაწყონ, სტადიონის აღმოსავლეთ ტრანსის ქვეშ მძლეობის მანქანი ააგონ. დაგეგმილია 800-ადგილიანი სათხილამურო ბაზისა და ციგურების გამჭარბებული ბაზის მოწყობა.



უნდა დავისაჯოს

მოსკოვში, 5 აპრილი (ჩვენი კორ.). თბილისის „ლოკომოტივის“ წყალბურთელებმა აქ საკონტროლო თამაშები გამართეს ტაშკენტში გამგზავრების წინ, სადაც იწყება სსრ კავშირის წყალბურთელობა პირველობა „ა“ კლასის 11 ჯგუფის გუნდებისთვის. თბილისელები შეხვდნენ მოსკოვის „დინამოს“, „ტორპედოს“ და უნივერსიტეტის ნაკრებს. ტაშკენტში ჩვენი გუნდის მეტოქეები იქნებიან მოსკოვის

„ლოკომოტივი“ და ენერგეტიკული ინსტიტუტის გუნდი, ლენინგრადის „სპარტაკი“, ასტრახანის „სპარტაკი“, ალმა-ათის „დინამო“ და სხვ. — ჩვენი ბიჭები კარგ ფორმაში არიან და საპირისო სამეულში მოხვდნარსთვის მონდომებას არ დაიშურებთ, — გვითხრა თბილისის „ლოკომოტივის“ მწვრთნელმა გ. ნოორაძემ. აქვე უნდა აღვნიშნოთ ერთი უსიამოვნო ფაქტი: როცა გუნდი გასამგზავრებლად მზად იყო, წყალბურთელმა რ. ჩიკვაძემ თვითნებურად მხატვრული კოლექტივი და მოსკოვში თარია. ეს მისთვის პირველი შემთხვევა როდია. ჩიკვაძემ სოსუმში ვარჯიშის დროსაც მხატვრული კოლექტივი და ბათუმში გამგზავრებზე უარი თქვა. საქართველოს წყალბურთის ფედერაციამ უნდა იმსჯელოს მის საქციელზე და დაწინაურდეს კურონად დასაჯოს.

ვრებლად მზად იყო, წყალბურთელმა რ. ჩიკვაძემ თვითნებურად მხატვრული კოლექტივი და მოსკოვში თარია. ეს მისთვის პირველი შემთხვევა როდია. ჩიკვაძემ სოსუმში ვარჯიშის დროსაც მხატვრული კოლექტივი და ბათუმში გამგზავრებზე უარი თქვა. საქართველოს წყალბურთის ფედერაციამ უნდა იმსჯელოს მის საქციელზე და დაწინაურდეს კურონად დასაჯოს.

80 ბავშვი...

მოსწავლეთა საგანგებულ არდადეგების დღეებში საჩხერის პიონერთა სახლში ჩატარდა მოჭადრაკეთა და მოშაშეთა რაიონული პირველობები. ბრძოლაში საშუალო და რვაწლიანი სკოლების 80-მდე მოსწავლე ჩაება. მოჭადრაკე გოგონებში ყველას აჯობა ა. აბრამიშვილი (სოფ. სარკვი), 11-111 ადგილები გაიყვეს მ. გულაძემ (სოფ. ქორეთი) და ლ. გოგოლაძემ (სოფ. კორბოლის მე-2 საშუალო სკოლა). ბავშვში იმარჯვა ო. ცერცვაძემ (სოფ. ვალაურთი), 11 ადგილზეა ა. მაკარაშვილი (სოფ. კორბოლის 1-ლი საშუალო სკოლა), 111 — ბ. მღებრივი (საჩხერის მე-2 საშუალო სკოლა). მოშაშეთა შეჯიბრების შედეგები ასეთია: გოგონები. I. თ. აბრამიშვილი (სოფ. სარკვი), 11. ო. აბრამიშვილი (სოფ. ნორისი), 111-IV. ბ. დევიძე (საჩხერის 1-ლი საშუალო სკოლა), ვ. გიორგაძე (სოფ. ვალაურთი), II. დ. ყიფიანი (საჩხერის მე-2 საშუალო სკოლა), 111. ა. შვანაძე (სოფ. სისვანეთი). II. ანასაშვილი. (ჩვენი კორ.).

საქელსი

დაამთავრა „კოლმეურნის“ რაიონული პირველობა ფეხბურთისში. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობათა გუნდები. ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ ალენის მეცხვარეობისა და ახმეტის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობათა ფეხბურთელები. გამარჯვება წილად ხვდათ ახმეტელებს. შ. ნათელაური. თიანეთი. შეულოვარ ბრძოლაში განვლთ რაიონის მოჭადრაკეთა პირველობამ, რომელშიც 17 კაცი მონაწილეობდა. ყველას აჯობა სოფ. სიმონიანთხევის საშუალო სკოლის მასწავლებელმა ვ. პეტრიაშვილმა. ბ. ბაღრაშვილი, თიანეთის რაიონის სპორტკავშირის თავმჯდომარე.

ბაურკვეველი მიგაგებით

სამ დღეს გრძელდებოდა თბილისის, ცხანვლის, ქუთაისის, კასპის, საგარეჯოს, გორისა და სხვა ქალაქების ახალგაზრდა ათლეტთა რესპუბლიკური პირადი პირველობა თვისუფლად კილიბაში. შეჯიბრება ჩატარდა ორგანიზებული და ნევი პერსპექტიული სპორტსმენიჭ გამაოვლინა. სამწვრთნელო, ასპარეზობას გაუარკვეველი მიზეზებით თავი მოაარიდეს მთელმა რიგმა ძლიერმა გუნდებმა. ტურნირი გაცილებით მოიგება, მასში აფხაზეთის, აჭარისა და რუსეთის წარმომადგენლებსაც რომ მიეღოთ მონაწილეობა. პირველი ადგილები წონითი კატეგორიების მიხედვით დასაკუთრეს: თ. ხოსიტაშვილმა (ქუთაისი), ჯ. ხორბალაძემ, თ. თვალურმა (ორივე — გორი), ჯ. გუთინაშვილმა (კასპი), ე. ნინიაშვილმა (თბილისი), ნ. ხორგუაშვილმა (ქუთაისი), ნ. მუმილაძემ (თბილისი), გ. თანდილოვმა (გორი). ი. თაველაშვილი. (ჩვენი კორ.).



# დღეს სოფიაში, 20 აპრილს რომში

## „ამიტომ ვართ ჩვენი ოპტიმისტები“

უკანასკნელ 10 წლის მანძილზე იტალიელები მხოლოდ ერთხელ შეხვდნენ ბულგარელებს — 1966 წლის 14 ივნისს ბოლონიაში და გაიმარჯვეს — 6:1. მაგრამ ბოლონის ტრიუმფს მოჰყვა სამარცხენო ჩაგრდნა მსოფლიო ჩემპიონატში და, გარდა ამისა, მწვერულელ ჯ. ვალკარეის ახრობა, ბულგარელთა ახლანდელი პროგრესი ყველასთვის ნათელია.

ბულგარელებთან შეხვედრის წინ ვალკარეჯი თავი მოუყარა ფეხბურთელებს საწვინელ ბაზა კოვერჩანოში (ფლორენციის მახლობლად) და შეკრების დამთავრების შემდეგ განაცხადა, რომ ნათლად აქვს წარმოდგენილი გუნდის შემადგენლობა.

იტალიაში უძლიერეს მკვარედ მწვერულელი მიჩინებს ალბერტოსის (ფიორენტინა), რომლის დუბლიორები არიან ძოფფი („ნაპოლი“) და ვიერი („ტორინო“). 32 წლის ვეტერანი პიკი („ვარეზე“), რომელიც „ლიბეროს“ (მწმუნდელი) როლს ასრუ-

ლებს, ვალკარეის სქემის თანახმად მთელი მატჩის მანძილზე იმყოფება მეკარის შორიასლოს. მცველები ბურენი („ინტერი“), ბურენლინი („იუვენტუსი“) და ფაკეტი („ინტერი“), მწვერულის სიტყვით რომ ვთქვათ, „ელასტიური, კარმონიული და ცვითი ბლოკის გარანტიას გვაძლევს“. ტრავმის შემთხვევაში მათ შეცვლიან დიდი გამოცდილების მქონე სალვადორე („იუვენტუსი“) და როზატო („მილანი“).

მინდვრის შუაგულში მთავარი ფიგურაა 24 წლის ვირტუოზი რივერა („მილანი“). რივერას პარტნიორები სხვადასხვა საწვინელ თამაშში იყვნენ ფერინი („ტორინო“), ბურენი („ფიორენტინა“), ფოლი („ბოლონია“). უახლოეს დროში მწკობრში ჩადგება გამოცდილი ნახევარმცველი ბულგარელი („ბოლონია“).

თავდასხმაში მოწინავე მთავარდ ითვლება მარცხენა გარემარბი რივა („პალიატი“). მაცლად და დომინანტი (ორივე „ინტერი“) რივისთან ერთად შეადგენენ ფრიად სახიფათო ტრიოს. დომენგინის მოვალეობა იმპერდოს

ნახევარმცველებსა და თავდასხმელებს შორის, საჭიროების შემთხვევაში კი შეუტრის კარს.

„ასეთი გუნდით სავსებით შესაძლებელია ევროპის ჩემპიონობის მოპოვება. ყველანი — ფაკეტიდან მოყოლებული რივამდე და რივერადან ბურენიმდე, შესანიშნავი ფეხბურთელები არიან. მათ ბრწყინვალე ტექნიკა და ტაქტიკური დისციპლინა აქვთ. ამიტომ ვართ ჩვენ ოპტიმისტები“, — განაცხადა ვალკარეჯი.

## „საკითხი... ღიად რჩება“

ბულგარეთის ნაკრების ხელმძღვანელი, დოქტორი ს. ბოჯოვი ფართო ექსპერიმენტების მომზადებაში. მთელი შარშანდელი სეზონის განმავლობაში მან მხოლოდ 18 მთავარ მამუე გამოიყენა. მეკარეები სიმეონოვი, პენევი, შერევი, გავანელოვი, დიმიტროვი და გაიდარაკი, ნახევარმცველები ბონევი, იაკობოვი, დიდილოვი და ტ. კოლევი (ნაკრების ცნობილი მარცხენა გარემარბის ი. კოლევის უმცრო-

სი ძმა), თავდასხმელები დერმენჯოვი, ასპარუხოვი, ჟეკოვი, კოტკოვი, პოპოვი და მიტოვი.

ბოჯოვმა ხელი აიღო ადრინდელი ბულგარელი მწვერულების ტაქტიკაზე, რომლებიც ნაკრებს ერთი რომელიმე მოწინავე კლუბის ბაზაზე აყალიბებდნენ. მასზე წერენ, რომ „გზა გაუხსნა ტალანტებს პროვინციული კლუბებიდან“.

ბულგარეთის ნაკრები მუდამ გამოირჩეოდა საუკეთესო ფიზიკური მომზადებით და ბრძოლის წყურვილით. ბოლო წლებში მას დაემატა კარგი ტექნიკა და თანამედროვე ტაქტიკა. ამ თვისებების წყალობით ბულგარელებმა ევროპის ჩემპიონატის დამთავრებამდე მისი მხარის მხარე იყვნენ ისეთი მხრისავე მეტოქე, რომელიც პორტუგალიის ნაკრები.

ბულგარეთში დიდი სახელი აქვს 21 წლის შეკრე სიმეონოვი. მან თავისუფალი რეკორდი დაამყარა ევროპის ჩემპიონატის თამაშებში (ზოგიერთ მათგანში მან ბონევი ცვლიდა) და არც ერთი გოლი არ გაუშვია. „თვით ეუფობიოდ 180 წუთის განმავლობაში ვერაფერი მოუხერხა მას“, — სიამაყით

წერენ ბულგარულ პრესაში. ცენტრალურმა მხედრობამ შეიქმნა მთელი წარმატებითი ტრენინგის სისტემა, ხან ტორესთან, მთავრე ცენტრალური მცველი პენევი მიჩნეულ იქნა გასული სეზონის №1 ფეხბურთელად ბულგარეთში.

უკანასკნელი სეზონის ნამდვილი აღმოჩენა იყო 20 წლის ბონევი, რომელიც თანამარბი წარმატებით თამაშობს როგორც ნახევარმცველი და როგორც თავდასხმელი. შარშან მან მონაწილეობა მიიღო ნაკრების ყველა მატჩში და ჩინებულად ითამაშა.

მარცხენა გარემარბ კოტკოვის შესახებ წერენ, რომ „მას დინამიტი აქვს მარცხენა ფეხში“. რაც შეეხება ასპარუხოვს, იგი დიდადს ავადმყოფობდა და შემოდგომიდან იუგოსლავიაში აპირებს გადასვლას სწავლის მიზნით, მაგრამ, რა თქმა უნდა, ნაკრების ხელმძღვანელობის წინააღმდეგობას აწყდება. როგორც ასპარუხოვის უკანასკნელმა თამაშებმა დამტკიცა, იგი სრულ საბრძოლო ფორმაშია.

თუ იტალიელ სპეციალისტებს მიაჩნიათ, რომ მათი გუნდი აუცილებლად სძლევა ბულგარელებს, ბოჯოვი ამბობს: „საკითხი, იტალია გავა ნახევარფინალში თუ ბულგარეთი, ღიად რჩება“.

# ტალინის საოხრად სწრაფი ფეხალი

ამერიკელი რ. როტის ძველ მიღწევას, 200 მეტრზე ქალთა კომპლექსურ ცურვაში უძლიერესი იყო 17 წლის პერმეტი მოსწავლე ლ. ზახაროვა — 2.30,1. ეს ახალი ევროპული მიღწევა და 0.2 წამით უკეთესია ს. შტაინბაის (გერმანული რეკორდსე).

გამარჯვება იზიარებს სტუმრებმაც, თავისუფალი სტილით 4x100 მ ესტაფეტაში ევროპის ახალი რეკორდი დაამყარა გერმანის ქალთა ნაკრებმა (უ. შუუკი, გ. ვებტკე, მ. პერტესი, ი. კომარი) — 4.09,4.

საბჭოთა ნაკრების (ლ. გრეგევი, ა. რუდნევი, ნ. უსტინოვა, თ. სოსნოვა) შედეგი — 4.10,2 სსრ კავშირის ახალი რეკორდია.

ასპარეზობის პირველ დღეს 100 მეტრზე გულაბა ცურვაში მოპოვებულ წარმატებას ლენინგრადელი ი. საველიოვა როდი დასჯერდა. მან ცურვის ამ

სახეობაში 200 მეტრზე ისახელა თავი, დისტანცია 2 წუთსა და 29,8 წამში გაკურა და სსრ კავშირის ახალი რეკორდი დაამყარა. სარეკორდო დროში დაამთავრა ბატერფლაის სტილით 200 მეტრის გაკურა ტ. დევიატოვამ — 2.28,8. ა. დუნაევის გამარჯვებით და-

მთავრდა თავისუფალი სტილით 1500 მეტრზე ცურვა — 16.55,0.

ამერიკელ, სსრ კავშირ-გერმანის მოცურავეთა ნაკრები გუნდების მატჩი, რომელიც სრული ოლიმპიური პროგრამით ჩატარდა, დამთავრდა მასპინძლების გამარჯვებით — 199:145.

## რედაქტორი მ. პაპაბაძე.

**თბილისი სპორტული ხელოვნება**

კალათბურთი. სპორტის სახალხო. სსრ კავშირის ვაჟთა ჩემპიონატი. **დღეს და ხვალ:** „ბურევეტნიკი“ (თბილისი) — ახვ (ჩივა). დასაწყისი 20 ს.

ტალინის შეჯიბრება გერმანისა და სსრ კავშირის მოცურავეთა ტრადიციული შეხვედრას, მაგრამ ბრწყინვალე შედეგების ასეთი კასკადი პირველი ამ მატჩებში. საბჭოთა სპორტსმენებმა პირველად მიადვიეს ქელებში ასეთ მნიშვნელოვან სხვაობასაც. მოგაგონებთ, რომ შარშანდელ მატჩში, რომელიც მაგდებურში ჩატარდა, ჩვენმა მოცურავეებმა გაიმარჯვეს ანგარიშით 129:88. შეჯიბრება მესიკოს ოლიმპიური თამაშების პროგრამით ტარდებოდა და საბჭოთა სპორტსმენებმა 29 სახეობიდან 20 მოიგეს.

საუკეთესო შედეგებია ნაჩვენები კომპლექსურ და ბრასის სტილით ცურვაში. რეკორდსმენთა ვინაობა უკვე გაკაცანით. უნდა აღინიშნოს კიდევ ერთი საინტერესო სპორტსმენი, 17 წლის სომალენკოვი მოსწავლე იგორ მარჩუკოვი, რომელმაც 200 მეტრზე ცურვაში წამი მოუგო ევროპის ორგანიზაციის ჩემპიონს გ. პროკოპენკოს. იგორმა ჩინებულ შედეგს მიადვია — 2.29,4 (პირადი რეკორდი).

გასული წლებისგან განსხვავებით, როცა სსრ კავშირის ნაკრებში უმთავრესად მოსკოველი ქალები შედიოდნენ, ახლა გუნდში არიან სომალენკოვი, პერმეტი, პოლტავაში, ასტრახანში, ხაბაროვსკში, იმერეთობარეთის ფორტუტაში აღზრდილი სპორტსმენები. ეს, რა თქმა უნდა, სასიამოვნოა.

საბჭოთა ნაკრების (ლ. გრეგევი, ა. რუდნევი, ნ. უსტინოვა, თ. სოსნოვა) შედეგი — 4.10,2 სსრ კავშირის ახალი რეკორდია.

ასპარეზობის პირველ დღეს 100 მეტრზე გულაბა ცურვაში მოპოვებულ წარმატებას ლენინგრადელი ი. საველიოვა როდი დასჯერდა. მან ცურვის ამ

ტოკიოს ოლიმპიადის შემდეგ გადახალისდა ჩვენს ნაკრები გუნდის მწვერულელთა შემადგენლობაც. ახლა ოლიმპიელებთან მუშაობენ გ. ბურე, რომელმაც აღზრდა ევროპის რეკორდსმენი ლ. ილიჩოვი, მ. ანანიევი (მისი აღზრდილია დუნაევი), გ. იაროვი (კოსინსკი), ვ. მორჩუკოვი (მან მოამზადა თავისი ვაჟი იგორი), თ. ხარლამოვა (პანკინი) და სხვ.

გერმანის მოცურავეთა კავშირის პრეზიდენტმა, დოქტორმა გ. ზორთავამ მასპინძლებს დიდი წარმატება მიულოცა. მან აღნიშნა, რომ კმაყოფილია თავისი ქვეყნის ქალთა გუნდისა, რომელმაც საბჭოთა სპორტსმენებზე მეტი ქულა დააგროვა.

დას, ჩვენმა მოცურავე ქალებმა განახალისეს საკავშირო რეკორდები გულაბა და ბატერფლაით ცურვაში, მაგრამ მათი შედეგები ჯერ კიდევ შორსაა მსოფლიო სტანდარტებისგან. ჩვენი „აქტივების ქულა“ თავისუფალი სტილით ცურვაზე არის. საბჭოთა სპორტსმენებმა 200 მეტრზე გულაბა ცურვაში ტალინში უფრო ნაკლები შედეგები აჩვენეს, ვიდრე მინსკის ანაწინანდელ საერთაშორისო ტურნირში. ასე რომ, გულის დამწვიდებისათვის არავითარი საფუძველი არა გვაქვს.

თუმცა ოლიმპიური სეზონი სულ ახლასან დაიწყო.

ეს წარმატება თავბრუს არ დაგვატყვეს, — უთხრა საკდესის კორესპონდენტს სსრ კავშირის ცურვის ფედერაციის თავმჯდომარემ ზ. ფირსოვმა. — წარმატება კიდევ უფრო გულმოდინე მუშაობას ავალბებს ჩვენს სპორტსმენებს. არც არის განცხრობის დრო. 22 აპრილს საბჭოთა გუნდი ბონს უნდა გაემგზავროს, გერმანის ღია ჩემპიონატში მონაწილეობის მისაღებად.

**თბილისი სპორტული ხელოვნება**

კალათბურთი. სსრ კავშირის პირველობა. „სპორტის II კავშირი“. „ლოკომოტივი“ (თბილისი) — „ფეხვა“ (პერმეტი). **დღეს:** დუბლშემადგენლობაში. დასაწყისი 16 ს. **ხვალ:** ძალიანად შემადგენლობაში. დასაწყისი 17 ს. 30 წ. საქართველოს პირველობა. **დღეს:** ასკ-ს სტადიონი (შაუმიანის ქ. № 57). ახვ (თბილისი) — „ფეხვა“ (წულოკოვი). დასაწყისი 17 ს. „დინამოს“ საწვრთნელი ბაზა (დღემის დასახლება). „ისინი“ (თბილისი) — „ლოკომოტივი“ (სამტრედიანი). დასაწყისი 13 ს.

გორაკარსი. დღეს: სსრ კავშირის პირადი ჩემპიონატის II ეტაპი. დასაწყისი 13 ს.

ბაზრბაი. ცენტრალური საკლუბო კლუბი (რუსთაველის პარ. № 48). 7-8 აპრილი. თბილისის ვაჟთა ჩემპიონატი. დასაწყისი 17 ს. 7-18 აპრილი. შესარჩევი შეჯიბრება ქალთა საერთაშორისო ტურნირისთვის. დასაწყისი 16 ს.



ბიკ ბრომლის (ვერმონტი, აშშ) სათბილამურო სკოლის დირექტორი ეის მენლი თავის აღსაზრდელებს უჩვენებს, თუ როგორ უნდა აარიდონ მათ თავი თოვლისმქვეშედად ბულდოზერთან შეტაკებას, როცა მთის კალთიდან ეშვებიან.

ფოტო ასოშიაიტედ პრესის სააგენტოსი.

## რომორც იქნა!..

ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციაში ათეული წლების მანძილზე გრძელდებოდა დავა იმის თაობაზე, რომ ოფიციალურ საერთაშორისო შეჯიბრებებში მატჩის მსვლელობისას მოთამაშეთა შეცვლის ნება დაერთობო. სხვადასხვა ქვეყნის ეროვნული ფედერაციები მოითხოვდნენ, რათა მათთვის უფლება მიეცათ მოეხდინათ შეცვლა თამაშის მსვლელობაში განუწყვეტლად იმისა, ტაქტიკური მოსაზრებით მოხდებოდა ეს, თუ ტრავმის გამო.

ფიფა ბოლო დრომდე თავს იკავებდა, მაგრამ სულ ახლასან

გამოქვეყნდა მისი სამდივნოს ოფიციალური ცნობა, რომელშიც ნათქვამია, რომ 1970 წლის მსოფლიო ჩემპიონატში გუნდებს ნება მიეცემა შეცვალონ მეკარე და მინდვრის ერთი მოთამაშე.

ამის გარდა, სამდივნომ გამოაცხადა, რომ მომავალში ხასტიკი ბრძოლა განაღდება უხეშობის წინააღმდეგ, რათა აღარ გამოვლინდეს ინგლისის მსოფლიო ჩემპიონატის მსგავსი ამბები. მენიკოს ოლიმპიური საფეხბურთო ტურნირისთვის ფიფამ დააწესა სპეციალური თასი ყველაზე კორექტული გუნდისთვის.